Täuschung (beim Betrug)

Im **deutschen Recht** setzt das Vermögensdelikt des Betrugs (§ 263 dStGB) voraus, dass der Täter in der Absicht, sich oder einem Dritten einen rechtswidrigen Vermögensvorteil zu verschaffen, das Vermögen eines anderen dadurch beschädigt, dass er „durch Vorspiegelung falscher oder durch Entstellung oder Unterdrückung wahrer Tatsachen einen Irrtum erregt oder unterhält". Die Formulierung der Tathandlung gilt als missglückt. Allgemein wird eine Täuschung über Tatsachen durch aktives Tun oder pflichtwidriges Unterlassen vorausgesetzt. Eine ausdrückliche Täuschung folgt unmittelbar aus dem Inhalt einer Erklärung, während eine konkludente Täuschung das schlüssige Miterklären von Tatsachen erfordert. Eine Täuschung durch Unterlassen setzt das Bestehen einer Aufklärungspflicht voraus, die nach allgemeinen Grundsätzen (§ 13 Abs. 1 dStGB) aus Gesetz, Vertrag und Ingerenz resultieren kann. Ausnahmsweise können aus Treu und Glauben (§ 242 BGB) relevante Aufklärungspflichten resultieren. Im **georgischen Recht** ist der Betrugstatbestand in Art. 180 gStGB geregelt. Der Tatbestand ist so aufgebaut, dass dabei die Täuschung des Opfers entscheidend ist. Genau darin unterscheidet sich der Betrug von anderen Vermögensdelikten. Als Täuschung gilt jedes Verhalten, das darauf gerichtet ist, durch beliebige Mittel der Kommunikation bei einem anderen eine von der Wirklichkeit abweichende Vorstellung hervorzurufen, damit er später auf Grund dieser Täuschung freiwillig z.B. eigenes Eigentum abgibt. Hatte der Täter keinen Täuschungsvorsatz, scheidet die Strafbarkeit aus. Im georgischen Strafrecht werden zwei Formen der Täuschung unterschieden: aktive Täuschung (z.B. Vermittlung der Falschinformation) und passive Täuschung (wenn dem Opfer bestimmte Infos vorenthalten werden). (Mwa/Bji)

მოტყუება (თაღლითობის ხერხი)

გერმანულ სისხლის სამართალში გსსკ-ის 263-ე პარაგრაფით დასჯადი თაღლითობის შემადგენლობა ნიშნავს ამსრულებლის მიზანმიმართულ ქმედებას, თავისთვის ან სხვისთვის ქონებრივი სარგებლის მისაღებად, მოტყუების ხერხით, სხვისი ქონების დაზიანებას. მოტყუება გამოხატება არასწორი ფაქტების მიწოდებით ან არსებული, ნამდვილი ფაქტების დაფარვით. ქმედების შემადგენლობის ფორმულირება არცთუ გამართულად მიიჩნევა. ზოგადად, ფაქტების შესახებ მოტყუება გამოიხატება აქტიური მოქმედებით ან პასიური ფორმით, სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობით. უმოქმედობით თაღლითობის ჩადენის წინაპირობაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არსებობა (გსსკ-ის მე-13 პარაგრაფის 1-ელი ნაწილი), რომელიც წარმოიშობა კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან წინარე ქმედებიდან გამომდინარე. გამონაკლისის სახით ის შეიძლება სამოქალაქოსამართლებრივი ნდობის პრინციპსაც (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფი) ეფუძნებოდეს. **ქართულ სისხლის სამართალში** თაღლითობას სსსკ-ის 180-ე მუხლი ეხება. ქმედების შემადგენლობის

განსახორციელებლად გადამწყვეტია მოტყუების ხერხი. სწორედ ამით განსხვავდება ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან. მოტყუებად ითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც მსხვერპლს სინამდვილისგან განსხვავებულ, არასწორ წარმოდგენებს უქმნის და რის საფუძველზეც ის დამნაშავეს მაგ. ქონებას, თავისივე ხელით, ნებაყოფლობით გადასცემს. თუ დამნაშავეს არ ქონდა მოტყუების განზრახვა, მაშინ დასჯადობა გამოირიცხება. ქართულ სისხლის სამართალში მოტყუების ორ ფორმას განასხვავებენ: აქტიურს (მაგ. მსხვერპლისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება) და პასიურს (მსხვერპლისთვის ფაქტების დამალვა). (Mwa/Bji)